



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302228544
თარიღი: 12/10/2022

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2022 წლის 21 სექტემბრის N10/302226440-30 წერილით, მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (ს/კ 433649359) დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა, რომელმაც „სპორტული მუზეუმის“ მოსაწყობად, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N37 - ში მდებარე შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე: N19 - 21.06 კვ.მ; N28 - 36,99 კვ.მ; N29 - 10,09 კვ.მ. და N30 - 21,03 კვ.მ. ოთახები. (საერთო ფართობი 89,17 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგინებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუბუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური**



წერილის ნომერი: **08-30222848**
თარიღი: **11/10/2022**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს**

**ქონების მართვისა და სოფლის
მეურნეობის სამსახურის უფროსი**

ირაკლი ხუხუნაიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა (კანცელარიის N 10/302226440-30; 21.09.2022 წელი) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-ს (ს/კ 433649359) დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე (N 19 - 21.06 კვ.მ; N 28 - 36,99 კვ.მ; N 29 - 10,09 კვმ და N 30 - 21,03 კვ.მ. საერთო ფართით 89,17 კვ.მ.) ფართის გამოყოფა „სპორტული მუზეუმი“-ს ფუნქციონირებისათვის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრს“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე 89,17 კვ.მ ფართი.

ზემოთაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

გთხოვთ დაავალდოთ ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი

პატივისცემით:

ირაკლი ხუხუნიანი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სპორტული ცენტრი

2800 ლანჩხუთი გორგასალის ქ. N11 ტ. 8 494-22-31-64

N- 41


20 სექტემბერი 2022 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

მოგახსენებთ, რომ თქვენი განკარგულებით 2022 წლის 30 ივნისს
დამტკიცებული იქნა სტრუქტურული ცვლილება და სპორტული ცენტრის
შემადგენლობაში გადმოცემული იქნა სპორტის მუზეუმი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ უზუფრუქტის წესით
გადმოგვცეთ სპორტის მუზეუმის სარგებლობაში არსებული სამი ოთახი, რომელიც
მდებარეობს ნინოშვილის ქუჩაზე, რათა მოვახდინოთ მისი კანონიერი მართვა და
მოწესრიგება. (საჭიროებს გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს)

სპორტული ცენტრის დირექტორი:  დ.მარშანიშვილი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2022 წლის ოქტომბერი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრს“ (ს/კ 433649359) მისი არსებობის ვადით, „სპორტული მუზეუმის“ ფუნქციონირების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N37 - ში მდებარე, შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე: N19 – 21,06 კვ.მ; N28 – 36,99 კვ.მ; N29 – 10,09 კვ.მ. და N30 – 21,03 კვ.მ. ოთახები. (საერთო ფართობით 89,17 კვ.მ.)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022713516 - 30/09/2022 12:38:52

მომზადების თარიღი
06/10/2022 16:02:28

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ლანჩხუთი	ლანჩხუთი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 1650.00 კვ.მ.
27	06	52	141	ნაკვეთის წინა ნომერი: 27.06.01.160 ;
მისამართი: ქალაქი ლანჩხუთი, ქუჩა ნინოშვილის, N 37				შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 1088.92 კვ.მ. (I სართული 577.78 კვ.მ., II სართული 511.14 კვ.მ.), N2 საერთო ფართობით 72.00 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012161595 , თარიღი 18/04/2012 16:05:36
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/04/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- განკარგულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი ქონების სახით გადაცემის შესახებ N602 , დამონშების თარიღი:05/04/2012 , საქართველოს მთავრობა

მესაკუთრეები:

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი , ID ნომერი:233730139

მესაკუთრე:

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014415895 თარიღი 06/08/2014 10:39:08	გამქირავებელი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 233730139; დამქირავებელი: შპს "გურია ნეტი" 433643667; საგანი:შენობა-ნაგებობა N1. 1055.75 კვ.მ-დან არასაცხოვრებელი ფართი: 14.9 კვ.მ, სართული პირველი და მინის ნაკვეთი ფართობით 48 კვ.მ; ვადა:15 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/09/2014	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ქირავნობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N6 , დამონშების თარიღი 06/08/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021303192 თარიღი 19/04/2021 12:12:47	მოიჯარე: შპს "ომეგა მ. ბ. რ" 206178447; საგანი:პირველ სართულზე მდებარე N18 - 12.58 კვ.მ. ფართი; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/04/2021	იჯარის ხელშეკრულება, დამონშების თარიღი 19/04/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების

უზუფრუქტუარი: ა(ა)იპ ლანჩხუთი-კეთილმოწყობა 433642490;

რეგისტრაცია
ნომერი
882012954278
თარიღი 02/10/2012
14:31:34

მესაკუთრე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 233730139;
საგანი:შენობა-ნაგებობა N1-დან: არასაცხოვრებელი ფართი 91.23 კვ. მე-2 სართული;
უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება , რეესტრის ნომერი N10, დამონშების თარიღი02/10/2012, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების
რეგისტრაცია:
თარიღი 07/10/2012

უზუფრუქტუარი: ა(ა)იპ "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი" 233732565;
მესაკუთრე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 233730139;

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882014144185
თარიღი 20/03/2014
15:27:47

საგანი:შენობა-ნაგებობა N1.1055.75 კვ.მ -დან არასაცხოვრებელი ფართი 82 კვ.მ , II სართული.;
ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად.;

უფლების
რეგისტრაცია:
თარიღი 24/03/2014

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება N4, დამონშების თარიღი20/03/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
892018187375
თარიღი 05/03/2018
17:46:24

უზუფრუქტუარი: სსიპ "საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა" 204852775;
მესაკუთრე: სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 233730139;
საგანი:შენობა-ნაგებობა N1-ის II სართულზე 26.67 კვ.მ ფართი.;
ვადა:2 წელი;

უფლების
რეგისტრაცია:
თარიღი 06/03/2018

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება N1, დამონშების თარიღი05/03/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882022673504
თარიღი 19/09/2022
17:53:48

უზუფრუქტუარი: ა.ი.პ. "ოდა ქვარი" 437373156;
მესაკუთრე: სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 233730139;
საგანი:შენობა N1-ის I სართულზე ფართი 241.75 კვ.მ.;
ვადა:2 წელი;

უფლების
რეგისტრაცია:
თარიღი 23/09/2022

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება N1, დამონშების თარიღი19/09/2022, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება N1, დამონშების თარიღი 20/09/2022, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,

ვალდებულება

ყადალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:


რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

შ.პ.ს. „გეოდიტი“

სკ 27.06.52.141
შენიშნა №-1
I სართული



შენიშნის შიდა აბრეგეო ნახაზი

რედაქციის ხელმოწერის თარიღი	1978 წლის 10 თვის 15 რიცხვი	არქიტექტორი	გ. ბერიძე
ინჟინერის ხელმოწერის თარიღი	1978 წლის 10 თვის 15 რიცხვი	ინჟინერი	გ. ბერიძე
პროექტის სახელი	შ.პ.ს. „გეოდიტი“	პროექტის სახელი	შ.პ.ს. „გეოდიტი“
პროექტის ნომერი	27.06.52.141	პროექტის ნომერი	27.06.52.141
პროექტის სახელი	შ.პ.ს. „გეოდიტი“	პროექტის სახელი	შ.პ.ს. „გეოდიტი“
პროექტის სახელი	შ.პ.ს. „გეოდიტი“	პროექტის სახელი	შ.პ.ს. „გეოდიტი“

